საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საქართველოს

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 9036/01
24/08/2021

9036-01-2-202108242009

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

სამინისტრომ განიხილა სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით თქვენ მიერ 2021 წლის 22 ივლისს წარმოდგენილი განცხადება N 12990 (2-08/11926), რომელიც ეხება მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე, ახალი ხიდის მიმდებარე უბნიდან მდ. მალთაყვამდე გზის (საერთაშორისო მნიშვნელობის ე-70 სენაკი-ფოთის (შემოვლითი) საავტომობილო გზის ნაწილი - სარფის (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზა - ლოტი 2, ეტაპი 2) მშენებლობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიშს.

გაცნობებთ, რომ საპროექტო გზა უშუალოდ ესაზღვრება, ხოლო ერთ მონაკვეთში კვეთს კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიას. კოლხეთის ეროვნული პარკი არის შეტანილი UNESCO მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში, აგრეთვე კოლხეთის ეროვნული პარკი წარმოადგენს „საერთაშორისო მნიშვნელობის, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი ტერიტორიების შესახებ" კონვენციისა (რამსარი, 1970) და „ზურმუხტის ქსელის" („კოლხეთი" GE0000006) საიტებს.

პარკის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული ტერიტორიების სენსიტიურობიდან გამომდინარე აუცილებელია სასაზღვრო ზოლში განთავსდეს ხმის ჩამხშობები, გამოყენებულ იქნას დაბალი სიმძლავრის ქვემოთ მიმართული სანათები, აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში.

მიუხედავად იმისა, რომ პროექტით განსაზღვრული გზის მშენებლობა, პირდაპირ უარყოფით ზემოქმედებას არ ახდენს პარკის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეულ ტერიტორიაზე, მიმდინარე სამუშაოებითა და გზის შემდგომი ექსპლუატაციის პერიოდში, მისი ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, პალიასტომის ტბასა და მის მიმდებარე ეკოსისტემაზე უარყოფითი ზემოქმედების ალბათობა მაღალია, აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოპინგის ანგარიშში გარემოზე უარყოფითი ზემოქმედებისა და შემარბილებელი ღონისძიებების ნაწილში (5.6. დაცული ტერიტორიებზე ზემოქმედების შეფასება; 5.6.1 გასატარებელი შემარბილებელი ღონისძიებები) ასახული ქმედებები არაა სრულყოფილი და საჭიროებს დამატებით შემარბილებელი ღონისძიებების გატარებას, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში.

იმისათვის, რომ დაცული იქნას კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და საერთაშორისოდ ნაკისრი ვალდებულებები, საჭიროა განხილული იქნას საპროექტო გზის ისეთი ალტერნატივა, რომელიც არ კვეთს კოლხეთის ეროვნულ პარკის ტერიტორიას, აგრეთვე გზის მშენებლობის პროცესში გათვალისწინებული იქნას მიმდებარედ

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044

ეროვნული პარკის არსებობა და დაცული იქნას „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნები.

ამასთან დამატებით გაცნობებთ, რომ 2021 წლის 12 აგვისტოს ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში გაიმართა საჯარო განხილვა, რომელსაც ესწრებოდნენ, როგორც ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის, ისე საკრებულოს წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები. პროექტის დეტალურად გაცნობის შედეგად დაინტერესებული პირების მხრიდან გამოიკვეთა პროექტთან დაკავშირებული რამდენიმე მნიშვნელოვანი შენიშვნა, მათ შორის: წარმოდგენილი დოკუმენტისა და თანდართული SHP ფაილების მიხედვით დაგეგმილი საავტომობილო გზა გადის კუნძულ კოლიმბარზე, რომელიც მიუყვება კუნძულ კოლიმბარის შუაში და შემდგომ პალიასტომის ტბის ნაპირს. აღნიშნულთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა ითხოვეს საავტომობილო გზის გადმოტანა მდინარე კაპარჭინას გასწვრივ, რათა არ მოხდეს კუნძულის მთლიანად დაკარგვა და ტერიტორია დარჩეს კუნძულის შემდგომი განაშენიანების/განვითარების (რეკრეაციულ-დასასვენებელი ზონა) პერსპექტივით. ამასთან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებისთვის გაურკვეველი აღმოჩნდა მეოთხე გადასასვლელის მოწყობის საკითხი, რაზეც დამატებით ითხოვეს განმარტება. მეოთხე საპროექტო გადასასვლელი, ქ. ფოთს აკავშირებს საპროექტო გზას, რომელიც კვეთს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ ტყით დაფარულ ტერიტორიას. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული გადასასვლელი პროექტისთვის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს და გადასასვლელის მოწყობა აუცილებელია, საჭიროა მოხდეს მისი კორექტირება, რათა არ მოხდეს ტყით დაფარული ტერიტორიის ფრაგმენტაცია.

ასევე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა ითხოვეს, რომ საპროექტო გზის გაყვანის შემთხვევაში, პალიასტომის ტბის სანაპიროსთან დაკავშირების მიზნით, მოეწყოს მოქალაქეებისთვის საფეხმავლო გადასასვლელები, ცხოველთა და მანქანის გასასვლელები.

ამასთან დამატებით გაცნობებთ, რომ ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილ იქნა პროექტთან დაკავშირებული შენიშვნები და მოსაზრებები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს აღნიშნული შენიშვნების/საკითხების გათვალისწინებით გადამუშავებული სკოპინგის ანგარიშის წარმოდგენის შემდეგ.

დანართი: 1 (ერთი) ფურცელი

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე